



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის
საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა
2023-2026 წლები

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ	3
ისტორია	3
მდებარეობა	3
ფართობი	3
გეოგრაფია.....	4
მმართველობის ორგანოები.....	4
მოსახლეობა.....	4
ეკონომიკა.....	5
სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა.....	5
საჯარო დაწესებულებები	5
ღირშესანიშნაობები	6
ბიუჯეტი	6
შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2021-2026 წლებში	7
შემოსულობები	7
ბიუჯეტის ბალანსი.....	9
2021-2022 წლების ბიუჯეტების მიმოხილვა	10
2021 წლის ბიუჯეტის შესრულება	10
2022 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა	15
თავი III. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში	18
ინფრასტრუქტურის განვითარება	18
დასუფთავება და გარემოს დაცვა.....	32
განათლება	37
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი.....	43
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	93

შესავალი

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება ეფუძნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკას, თავისუფალი ბაზრის პრინციპებს. მუნიციპალიტეტის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებას, როგორც ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელ ფაქტორს.

ამასთან, აქტიურად გაგრძელდება შესაბამისი მუნიციპალური ინსტიტუტების მუშაობის ხარისხობრივი გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებას.

მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტს საფუძვლად დაედო საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების დოკუმენტი და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული წერილი 2023 საბიუჯეტო წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრების შესახებ.

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

ისტორია

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის მხარეში. მუნიციპალიტეტის ტერიტორია დასახლებულია მე-6 საუკუნის პირველი ნახევრიდან სახელწოდებით თვალი. მე-15 საუკუნის დოკუმენტებში ჯერ თვალ-საგარეჯოდ იხსენიებოდა, ხოლო მე-19 საუკუნის დასაწყისში საგარეჯოდ. 1930 წლიდან დამოუკიდებელი რაიონია, 2006 წლიდან - საგარეჯოს მუნიციპალიტეტი.

მდებარეობა

მუნიციპალიტეტის ცენტრია ქ.საგარეჯო, რომელიც თბილისიდან აღმოსავლეთით 45 კმ-ით არის დაშორებული და ზღვის დონიდან 772 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. საგარეჯოს მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით გურჯაანის, დასავლეთიდან გარდაბნის, ჩრდილოეთიდან კი თიანეთის და თელავის მუნიციპალიტეტები ესაზღვრება, ხოლო სამხრეთით აზერბაიჯანის საზღვარი ემიჯნება.



ფართობი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ფართობი მთლიანი ქვეყნის ფართობის (69 700 კვ. კმ) 2,2 %-ს, ხოლო კახეთის რეგიონის 13,7 %-ს შეადგენს. შესაბამისად მუნიციპალიტეტის ტერიტორია არის 1554 კვ კმ, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 94 371 ჰექტარი, 42065 ჰექტარი კი ტყეებს. მუნიციპალიტეტის მთავარ ჰიდროგრაფიულ ქსელს ქმნის მდინარე იორი, რომელიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიას ორ ნაწილად ჰყოფს. აღსანიშნავია უჯარმასთან არსებული ტბების ჯგუფი.

გეოგრაფია

მუნიციპალიტეტის რელიეფი ხასიათდება მთაგორიანი ზეგანით, რომელსაც კვეთს მდინარე იორი. ჩრდილო ნაწილი განლაგებულია ცივ-გომბორის მთასწინეთზე და ძირითადად ტყე-ბუჩქნარით არის დაფარული, მისი სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის დაბლობი უტყეოა, ხოლო ჩრდილო ნაწილი ტყით არის შემორტყმული. უმაღლესი მწვერვალია მთა“ცივი“(ზღვის დონიდან 1991 მეტრი).

მმართველობის ორგანოები

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი, საკანონმდებლო ორგანოა მუნიციპალიტეტის საკრებულო. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება 39 წევრისგან, მათგან 26 არჩეულია პროპორციული, ხოლო 13 მაჟორიტარული სისტემით. საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობს საკრებულოს წევრების მიერ არჩეული თავმჯდომარე, რომელსაც ჰყავს სამი მოადგილე. საკრებულოში შექმნილია და მუშაობს 5 კომისია, ესენია: იურიდიულ საკითხთა; საფინანსო-საბიუჯეტო; სივრცით-ტერიტორიული დადგენარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა; სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა; ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც საქართველოს ყველა სხვა მუნიციპალიტეტში აღმასრულებელი ხელისუფლებას ახორციელებს პირდაპირი წესით არჩეული მერი, რომელსაც ჰყავს 2 მოადგილე. მუნიციპალიტეტის მერი აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურები), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არამომგებიანი, არაკომერციული იურიდიული პირებისა (ააიპ) და მუნიციპალური შპს-ების მეშვეობით. მუნიციპალიტეტი მოიცავს 25 ტერიტორიულ ერთეულს: მათ შორის: ქალაქი 1-საგარეჯო; თემი 9- გომბორი, უჯარმა, კოჭბაანი, გიორგიწმინდა, მანავი, იორმულანლო, დუზაგრამა, ლამბალო, თულარი; სოფელი 15- ხაშმი, პატარძეული, ნინოწმინდა, წყაროსთავი, თოხლიაური, სათაფლე, დიდი ჩაილური, პატარა ჩაილური, კაკაბეთი, ვერხვიანი, ყანდაურა, ბადიაური, მზისგული, შიბლიანი, უდაბნო.

მოსახლეობა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 52,0 ათასი კაცია. მოსახლეობის სიდიდის მიხედვით საქართველოს 63 მუნიციპალიტეტს შორის საგარეჯოს მუნიციპალიტეტი მე 15-ე ადგილზეა.

მუნიციპალიტეტში დასახლებული 52,0 ათასი მოსახლიდან ქალაქში რეგისტრირებულია 10,3 ათასი პირი, სასოფლო დასახლებებში რეგისტრირებულია 41,7 ათასი მაცხოვრებელი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მთლიანი საქართველოს მოსახლეობის 8,3 %-ს, ხოლო, კახეთის რეგიონის 17,1 %-ს შეადგენს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნისა და რეგიონის მონაცემებთან 2021 წლის მონაცემების მიხედვით		
დასახლება	მოსახლეობა (ათასი)	ფართობი (კვ. კმ)
სულ საქართველო	3 688,6	69700
კახეთის რეგიონი	304,9	11375
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	52,0	1554
პროცენტი საქართველოსთან	8,3 %	2,2 %
პროცენტი რეგიონთან	17,1 %	13,7 %

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 11,0 ათასი პენსიონერი. მათ შორის, 2,5 ათასი ოჯახი სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონეა, ხოლო 1,5 ათასი მოსახლე მაღალმთიან დასახლებაში მაცხოვრებელია.

ეკონომიკა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში განვითარებულია სოფლის მეურნეობის შემდეგი მიმართულებები: მარცვლეულის წარმოება, მევენახეობა, მეცხოველეობა და მეფრინველეობა.

ტურიზმის სექტორის ზრდა ძირითადად განპირობებულია დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის და ბალნოელოგიურ კურორტ უჯარმის (იოდ-ბრომიანი სამკურნალო წყლები) არსებობით, მის გარშემო განვითარებული ტურისტული ობიექტების (80 საწარმო), ღვინის ტურიზმის განვითარებით, კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივ-ეთნოგრაფიული ძეგლების მრავალფეროვნებითა და სიმრავლით.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გზების სიგრძეა 451 კმ, მათ შორის 120 კმ სახელმწიფო მნიშვნელობის გზებია, 331 კმ შიდა.

საჯარო დაწესებულებები

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული დაწესებულებები. მათ შორისაა: 26 საჯარო სკოლა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 2 არასახელმწიფო (კერძო) საგანმანათლებლო დაწესებულება, ასევე ფუნქციონირებს 29 სკოლამდელი (საბავშვო

ბაღი და ბაგა-ბაღი) სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულება, ა.ი.პ. სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანება, რომელიც აერთიანებს ქ.საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს და სოფელ დუზაგრამის ქართული ენის შემსწავლელ ცენტრს. ასევე ქ.საგარეჯოში ფუნქციონირებს ა.ი.პ „ჯემალ ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლა“, ოთხი სასპორტო სკოლა, სადაც მოზარდები ვარჯიშობენ სპორტის 11 სახეობაში, ამჟამად საგარეჯოს მუნიციპალიტეტში არის 10 საჭიდაო დარბაზი, 14 მინი და ერთი სტანდარტული ტიპის სპორტული მოედანი. მოწყობილია სამი რეკრეაციული ზონა, არის აუზი, ფუნქციონირებს კულტურის სახლი, სახალხო თეატრი და თოჯინების თეატრი, 2 მუზეუმი, 1 ცენტრალური და 3 სასოფლო ბიბლიოთეკა, 5 სასოფლო კლუბი, 1 ხელოვნების სკოლა.


ღირშესანიშნაობები



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უხვადაა შემორჩენილი ისტორიული ძეგლები. საყურადღებოა ეროვნული მნიშვნელობის კულტურის ძეგლი – დავით გარეჯა, ფეოდალური ხანის საქართველოს ერთ-ერთი თვალსაჩინო რელიგიურ-კულტურული ცენტრი, სამონასტრო გამოქვაბულთა კომპლექსი, რომელიც მდებარეობს გარეჯის კლდოვან მთებში. აღსანიშნავია სოფელი უჯარმა, რომელიც ისტორიული კახეთის მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცენტრი იყო, მე-5 საუკუნის მე-2 ნახევარში მეფე ვახტანგ გორგასალმა აქ ააშენა სამეფო რეზიდენცია. სხვა ძეგლებიდან აღსანიშნავია ხაშმის სამების ეკლესია, ნინოწმინდის იგივე სახელწოდების ტაძარი, პატარძელში შემორჩენილია ორი კოშკი, ციხის ნანგრევები და ეკლესია, გიორგიწმინდაში არის ერთნავიანი ეკლესია, დაზიანებული ციხესიმაგრეა მანავში და ა.შ.

ბიუჯეტი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს 56927.5 ათას ლარს. ეს მაჩვენებელი ერთ-ერთი საუკეთესოა მუნიციპალიტეტის ბოლო წლების ბიუჯეტების მაჩვენებლებს შორის. ბიუჯეტის შემოსულობებიდან 20153.7 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსავლებს შეადგენს. მათ შორის, აღსანიშნავია დამატებული ღირებულების გადასახდი, რომელზეც საკუთარი შემოსავლების დიდი ნაწილი (14299.7 ათასი ლარი) მოდის. არასაკუთარი შემოსავლები ძირითდად შედგება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერისგან, რომელიც მუნიციპალიტეტს ყოველწლიურად გამოეყოფა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.



თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2023-2026 წლებში

შემოსულობები

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას, გათვალისწინებულ იქნა 2023-2026 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი ვარიანტით განსაზღვრული მაკროეკონომიკური და ფისკალური მონაცემები. ასვე ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების შემოსულობების პროგნოზი საშუალოვადიან პერიოდში. დღგ-დან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დათვლილია საბიუჯეტო კოდექსის 71-ე მუხლის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო აგრეგირებული მაჩვენებლები განისაზღვრა შემდეგნაირად:

ათასი ლარი

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
შემოსულობები სულ	35363.4	39087.8	24627.6	29097.3	31128.8	33282.1
შემოსავლები	27983.3	30987.8	24523.6	28992.3	31018.8	33157.1
გადასახადები	28433.4	56927.5	24627.6	29097.3	31128.8	33282.1

დამატებითი ღირებულების გადასახადი	11793.8	14299.7	17874.6	22343.3	24369.8	26368.1
ქონების გადასახადი	4218.2	3500.0	4695.0	4695.0	4695.0	4835.0
გრანტები	9613.4	11479.1	245.0	245.0	245.0	245.0
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	9613.4	11479.1	245.0	245.0	245.0	245.0
მიზნობრივი ტრანსფერი	220.0	245.0	245.0	245.0	245.0	245.0
კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერები	9393.4	11234.1	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა შემოსავლები	2357.9	1709.0	1709.0	1709.0	1709.0	1709.0
არაფინანსური აქტივების კლება	7380.1	8100.0	104.0	105.0	110.0	125.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენება)	3982.7	3.1	3.1	3.1	3.1	3.1
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაგროვება)	10912.7	17842.8	3.1	3.1	3.1	3.1

ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით 2023-2026 წლებში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გადასახდელები პრიორიტეტების მიხედვით 2021 –2026 წლებში

დასახელება	<i>ათასი ლარი</i>					
	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
გადასახდელები სულ	28433.4	56927.5	24627.6	29097.3	31128.8	33282.1
ინფრასტრუქტურის განვითარება	15518.7	31038.2	8603.5	8785.9	10395.5	11423.9
დასუფთავება და გარემოს დაცვა	1531.2	3232.8	1764.5	2798.1	3338.6	4081.1

განათლება	3848.9	6510.8	3412.6	6153.5	5339.1	5373.5
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	3032.2	7275.6	2983.4	3126.5	3280.6	3466.1
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1189.2	2327.7	2075.9	2182.8	2493.7	2614.3
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	3313.3	6542.5	5787.8	6050.5	6281.3	6323.2

ბიუჯეტის ბალანსი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი 2021 –2026 წლებში

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
I. შემოსავლები	27983.3	30987.8	24523.6	28992.3	31018.8	33157.1
გადასახადები	16012.0	17799.7	22569.6	27038.3	29064.8	31203.1
გრანტები	9613.4	11479.1	245.0	245.0	245.0	245.0
სხვა შემოსავლები	2357.9	1709.0	1709.0	1709.0	1709.0	1709.0
II. ხარჯები	13377.4	20749.6	17355.8	17909.4	18738.3	19439.3
შრომის ანაზღაურება	2194.1	3582.3	3885.7	4084.2	4084.2	4084.2
საქონელი და მომსახურება	3454.5	4226.6	3405.0	3523.8	3716.7	3918.1
პროცენტი	27.5	33.8	15.8	11.0	6.1	1.3
სუბსიდიები	5408.6	7199.0	7622.4	7750.5	8088.9	8456.5
გრანტები	85.1	171.4	171.5	171.5	171.5	171.5
სოციალური უზრუნველყოფა	773.1	1364.3	1474.7	1551.1	1839.3	1939.9
სხვა ხარჯები	1434.3	4172.1	780.7	817.3	831.6	867.9
III. საოპერაციო სალდო	14605.9	10238.2	7167.8	11082.9	12280.5	13717.8
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	7622.6	28023.9	7114.5	11029.6	12227.2	13691.1
ზრდა	15002.8	36123.9	7218.5	11134.6	12337.2	13816.1
კლება	7380.1	8100.0	104.0	105.0	110.0	125.0
V. მთლიანი სალდო	6983.3	-17785.7	53.3	53.3	53.3	26.6
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	6930.0	-17839.7	0.0	0.0	0.0	0.0
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	-6930.0	17839.7	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	-6930.0	17839.7	0.0	0.0	0.0	0.0
VII. ვალდებულებების ცვლილება	-53.3	-54.0	-53.3	-53.3	-53.3	-26.7
კლება	53.3	54.0	53.3	53.3	53.3	26.7
საშინაო	53.3	54.0	53.3	53.3	53.3	26.7
სესხები	-53.3	-54.0	-53.3	-53.3	-53.3	-26.7
VIII. ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

2021-2022 წლების ბიუჯეტების მიმოხილვა

2021 წლის ბიუჯეტის შესრულება

2021 წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 35363,4 ათასი ლარი, მათ შორის გადასახადებმა 16012,0 ათასი ლარი, გრანტებმა 9613,4 ათასი ლარი, სხვა შემოსავლებმა 2357,9 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლება 7380,1 ათასი ლარი. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი 6629,5 ათასი ლარი მიიმართა ინფრასტრუქტურის ობიექტების დასაფინანსებლად; სოფლის მხარდაჭერის პროგრამა დაფინანსდა 668,0 ათასი ლარით; საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა 339,1 ათასი ლარით; 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად 436,3 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 245,0 ათასი ლარი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯმა შეადგინა 28433,4 ათასი ლარი.

ინფრასტრუქტურის განვითარება დაფინანსდა 15518,7 ათასი ლარით, მ.შ.:

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით დაფინანსებული პროექტების ხარჯმა შეადგინა 7898,9 ათასი ლარი, მ.შ.დასრულებული პროექტებია: საგარეჯოს, კახეთის გზატკეცილზე მდებარე №9,11,13,15 საცხოვრებელი კორპუსების ეზოების მოასფალტება-კეთილმოწყობა; მანავის ციხესთან მისასვლელი საავტომობილო გზის მოწყობის სამუშაოების დაფინანსება; სოფელ ხაშში შესასვლელ გზაზე ა/ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ უდაბნოში გზის მოასფალტების სამუშაოები; ქ. საგარეჯოში კახეთის გზატკეცილი N10, 10ა, 12, 12ა, კორპუსების ეზოების მოასფალტება - კეთილმოწყობა; ქ. საგარეჯოში რუსთაველის ქ. № 270, 272, 274 კორპუსების ეზოების მოასფალტება კეთილმოწყობა; სოფელ თოხლიაურში შიდა ცენტრალური გზის მოასფალტების სამუშაოები; სოფელ ბადიაურში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია; სოფელ მანავში, არსებულ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებასთან მისასვლელი გზის მოასფალტება; ქ. საგარეჯოში კახეთის ქუჩის მოასფალტება; ქ. საგარეჯოში შოთა რუსთაველისა და კახეთის ქუჩების დამაკავშირებელი (მე-8 ქუჩის) ქუჩისა და ქალაქ საგარეჯოში კახეთის ქუჩის მოასფალტება; მიმდინარე პროექტებია: ს. პატარძელში, მონასტერთან მისასვლელი გზის მოასფალტება; ს.პატარძელში, ე.წ. „ონანთ“ უბნის გზის მოასფალტება; გიორგიწმინდაში, სასაფლაოს გზაზე რკ/ბეტონის საფარის მოწყობა; პატარა ჩაილურში ცენტრალური გზის მოასფალტება ; ქ. საგარეჯოში, ჯაფარიძის ქუჩაზე ტროტუარების მოწყობა ; ქ. საგარეჯოში, ქუჩიშვილის და ტაბიძის ქუჩების მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობა; ქ.საგარეჯოში, ვაჟა-ფშაველას ქუჩის მოასფალტება ; ქ. საგარეჯოში, განთიადის, გორის და თამარ მეფის ქუჩების მოასფალტების ; ქ. საგარეჯოში, კახეთის გზატკეცილის N1 შესახვევის მოასფალტება ე.წ. „სოკარის ქუჩა“ ; ქ.საგარეჯოში, ჩოლოყაშვილის ქუჩის მოასფალტება; ქ.საგარეჯოში სათავის ქუჩის მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობა ქ.საგარეჯოში , გიორგი ბრწყინვალეს ქუჩის მოასფალტება ; ქ.საგარეჯოში, გურამიშვილის ქუჩის დარჩენილი მონაკვეთის მოასფალტება; ქ. საგარეჯოში ე.წ „ქურხულიანთ უბნის“ მიმდებარედ

არსებულ სასაფლაოსთან მისასვლელი გზის (არმირებული ცემენტბეტონით) მოწყობა; ს.უდაბნოში ჩიჩხიტურის კომპთან მისასვლელი გზის მშენებლობა; თულარი-კაზლარის ცენტრალურ დამაკავშირებელ გზაზე ა/საფარის მოწყობა; ქალაქ საგარეჯოში მშვიდობის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები; ქალაქ საგარეჯოში ბარნოვის, რობაქიძესა და 9 ძმის ქუჩების მოასფალტების სამუშაოები; სოფელ ნინოწმინდისა და სოფელ წყაროსთავის დამაკავშირებელი გზის მოასფალტების სამუშაოები; კაკაბეთში ღვთისმშობლის ეკლესიასთან მისასვლელი გზის და ე.წ. "ღვინაანთ" უბნის გზის მოასფალტება; სოფ.ქვემო და ზემო ყანდაურის დამაკავშირებელი გზის მოასფალტების სამუშაოები; სოფელ უჯარმაში, ხევზე გადასასვლელი ხიდის მოწყობის სამუშაოები; შ.პ.ს. საგარეჯო დაფინანსდა 312,6 ათასი ლარით; გზების მიმდინარე შეკეთებაზე გაიხარჯა 248,7 ათასი ლარი;

წყლის სისტემების განვითარების პროგრამა დაფინანსდა 4071,5 ათასი ლარით, მ.შ.დასრულებული პროექტებია: სოფელ გომბორის წყალმომარაგების სისტემის მოწყობა; სოფელ გიორგიწმინდის წყალმომარაგების სისტემის მოწყობა; სოფ. კაკაბეთში სასმელი წყლის ქსელის მოწყობა; პატარძელში ლეკიანთ უბანში წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაციის, ამავე სოფელში ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ წყალმომარაგების ჭაბურღილისა და სამარაგო რეზერვუარის მოწყობისა და ეკლესიის მიმდებარედ წყალმომარაგების ჭაბურღილისა და სამარაგო რეზერვუარის მოწყობის სამუშაოები; ე.წ „ხაშმის დაჩებადე" სასმელი წყლის ქსელი მოწყობის სამუშაოები; პატარძელში ბერთუბანში წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაციისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროსთავში ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები; საგარეჯოში კოსტავას ქუჩაზე N14 და N16 კორპუსების წყალმომარაგების - სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები; სოფელ შიბლიანის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები; სოფელ ბურდიანის წყალსადენის ჭაბურღილის და მაგისტრალური მილსადენის მოწყობის სამუშაოები; სოფელ მზისგულის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები; ქ.საგარეჯოსა და მუნიც.სოფლებისთვის სასმელი წყლის ამქაჩი ტუმბოების და მათი კომპლექტების(ახლით) შეძენა-მონტაჟის შესყიდვა; სოფელ უდაბნოში ხუთი ოჯახის კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები; სამუშაოები მიმდინარეობს: სოფელ კაკაბეთში დვრინის წყალზე სადრენაჟე სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები; გიორგიწმინდაში ჭაბურღილების, შემკრები რეზერვუარების და სატუმბი სადგურის მოწყობის სამუშაოები; სოფელ კაზლარის წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოები; ა(ა)იპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირების და ლაბორატორიული კვლევის ცენტრი დაფინანსდა 360,2 ათასი ლარით;

გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაციაზე გაიხარჯა 1255,5 ათასილარი, გარე განათების მოწყობის სამუშაოები განხორციელდა ქ.საგარეჯოში, 9 აპრილის ქუჩაზე სოფელ ს.გიორგიწმინდაში, ქვემო ლამბალოში, მანავში, თოხლიაურში; მუნიციპალიტეტის გარეგანათების მომსახურებაზე 249,9 ათასი ლარი, ქუჩების გარეგანათებაზე გახარჯულ ელენერგიაზე 811,8 ათასი ლარი;

ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაციას მოხმარდა 1273,9 ათასი ლარი, ეს არის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების კუთვნილი საცხოვრებელი სახლების სტიქიის მიერ დაზიანებული სახურავების მოწყობის სამუშაოებისთვის და დაზიანებული საცხოვრებელი სახლების აღსადგენად საჭირო სამშენებლო მასალების შესასყიდად გამოყოფილი დაფინანსების თანხა;

კეთილმოწყობის ხარჯმა შეადგინა 142,6 ათასი ლარი, დაფინანსდა ქ. საგარეჯოში კულტურის სახლის შენობის სახურავზე დაზიანებული სახურავის შეცვლის სამუშაოები; ქალაქ საგარეჯოში ადმინისტრაციული შენობის ფასადის შეკეთების სამუშაოები რომელიც არ დასრულებულა მომწოდებლის მიერ ხელშკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის გამო.;

სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაფინანსდა 119,9 ათასი ლარით, განხორციელდა სანიაღვრე არხებისა და ლითონის ცხაურების მოწყობის სამუშაოები ქ. საგარეჯოს სათავის, წერეთლის, ჩოლოყაშვილის ქუჩებზე, სოფლებში: გიორგიწმინდა, გომბორში, პატარძელში ე.წ. „ჩიხრაანთ“ უბანში და შიოს ეკლესიასთან, სოფელ დიდი და პატარა ჩაილურისთვის, ხაშმისთვის სარწყავი ტუმბოების შესყიდვა;

სარიტუალო ღონისძიებების პროგრამა დაფინანსდა 13,3 ათასი ლარით, განხორციელდა ს.პატარძელში ე.წ. აჭარელების დასახლებაში სასაფლაოების შემოღობვის სამუშაოები; **სოფლის მხარდაჭერის პროგრამა** დაფინანსდა 743,1 ათასი ლარით.

დასუფთავება და გარემოს დაცვის ხარჯმა შეადგინა სულ 1531,2 ათასი ლარი. აქედან დასუფთავებას და ნარჩენების გატანა-მომსახურებას მოხმარდა 650,1 ათასი ლარი, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარებას - 98,0 ათასი ლარი, მიმდინარე პროექტია ქალაქ საგარეჯოს ცენტრალურ ნაწილში ახალი რეკრეაციული და გასართობი არეალის მოწყობა; კაპიტალური დაბანდებების ქვეპროგრამით შესყიდულ იქნა 200 ცალი პლასტმასის ნაგავმემკრები კონტეინერები - 97,6 ათასი ლარი; შ.პ.ს. „სუფთა მუნიციპალიტეტი 2018 „ დაფინანსდა 685, 5 ათასი ლარით;

განათლება დაფინანსდა 3848,9 ათასი ლარი, მ.შ.:

ა.ი.პ. საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობის მიზნით მიიღარათა 2360,6 ათ. ლარი;

სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია დაფინანსდა 741,2 ათასი ლარით, რეაბილიტაციის სამუშაოები განხორციელდა ქ. საგარეჯოს #2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში, მიმდინარეობს სკოლამდელი აღზრდის პატარძელის #1, გიორგიწმინდის, თოხლიაურის, დიდი ჩაილურის, უდაბნოს, კაკაბეთის #1, ხაშმის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში;

საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა დაფინანსდა 630,4 ათასი ლარით, აქედან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა სატრანსპორტო მომსახურება 221,5 ათასი ლარი; სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა იორ-მულანლოს, მულანლოს, მზისგულის, კოჭბაანის, უჯარმის, დუზაგრამის საჯარო სკოლებში, მოეწყო მანავის საჯარო სკოლის გათბობის სისტემის სამუშაოები, მიმდინარეობს ნინოწმინდის საჯარო სკოლაში სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია;

ა.ი.პ. საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების საქმიანობა, დაფინანსდა 110,3 ათასი ლარით;

არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში დაფინანსდა 6,4 ათასი ლარით;

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი 3032,2 ათასი ლარი, მ.შ. :

სპორტის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსდა 2293,6 ათასი ლარით, მ.შ. ა.(ა).ი.პ. საგარეჯოს №105 სპორტული სკოლა 47,6 ათასი ლარით; ა.(ა).ი.პ. საგარეჯოს სპორტული გაერთიანება 423,5 ათასი ლარით; ა.(ა).ი.პ. რაგბის კლუბი „ვეფხვები“ 228,1 ათასი ლარით; შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბი „საგარეჯოს გარეჯი“ 118,2 ათასი ლარით; სპორტული ღონისძიებები 38,3 ათასი ლარით;

სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობაზე გაიხარჯა სულ 1437,9 ათასი ლარი. განხორციელდა კახეთის გზატკეცილ #12ა მიმდებარედ, წყაროსთავში მინი სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები, თულარში, პატარა ჩაილურში, მზისგულის, თოხლიაურის, შიბლიანის, ხაშმის მინი სტადიონების მოწყობის სამუშაოები, ნინოწმინდის სკოლის სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია, ს.ნინოწმინდაში სპორტული დარბაზის მშენებლობის სამუშაოები, დიდ ჩაილურში სტადიონის მშენებლობის სამუშაოები, გომბორში საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაციის სამუშაოები, სოფელ ბადიაურში სპორტული დარბაზის მშენებლობის სამუშაოები, კაკაბეთის საჭიდაო დარბაზის სახურავის მოწყობის სამუშაოები, საგარეჯოში დავით აღმაშენებლის ქუჩა #37ა-ში მდებარე ცენტრალურ სტადიონზე, დუზაგრამის, მულანლოს ქუჩის ტრენაჟორების მოწყობისა სამუშაოები;

კულტურის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსდა 664,7 ათასი ლარით, მ.შ. ა.(ა).ი.პ. ჯემალ ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლა 152,9 ათასი ლარით; ა.(ა).ი.პ. კულტურის ობიექტების გაერთიანება 422,5 ათასი ლარით; კულტურული ღონისძიებები 89,3 ათასი ლარით;

ახალგაზრდობის მხარდაჭერა 38,9 ათასი ლარით;

საგამომცემლო საქმიანობა 35 ათ.ლარი, ეს არის შ.პ.ს. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი „გარეჯის მაცნე“-ს სუბსიდიის ხარჯი;

მოსახლეობის ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 1189.2 ათასი ლარით, მ.შ.:

ჯანდაცვის პროგრამები დაფინანსდა 120.2 ათასი ლარით, მ.შ. ა.(ა).ი.პ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი 104.4 ათასი ლარი; **სოფლის**

ამბულატორიების მომსახურება და ჯანდაცვის ხელშეწყობა დაფინანსდა 15.8 ათასი ლარით;

სოციალური პროგრამები დაფინანსდა 1069.0 ათასი ლარით, მ.შ.

1) პირველ და მეორე ახალდაბადებული ბავშვიანი სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამა 9 ათასი ლარით (30 ოჯახი);

2) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა 47,6 ათასი ლარით (119 ოჯახი);

3) ბავშვთა კვების პროგრამის 1,7 ათასი ლარი (10 ბავშვი);

4) უდემამო ბავშვების დახმარების პროგრამა 7,9 ათასი ლარით (26 ბავშვი);

5) შშმ 18 წლამდე ბავშვთა დახმარების პროგრამა 45,5 ათასი ლარი, დახმარება გაეწია 80 ბავშვს;

6) შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა 16 ათასი ლარი, დაფინანსდა 9 ბენეფიციარის მკურნალობის ხარჯი, შშმ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის ხარჯი და ცენტრის ბენეფიციარების საახალწლო ღონისძიებისთვის სხვადასხვა ნივთების შესყიდვა;

- 7) მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლების დახმარების პროგრამა 3 ათასი ლარი (15 ბენეფიციარი);
- 8) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა 179,5 ათასი ლარი (369 ბენეფიციარი);
- 9) მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა 144,6 ათასი ლარი (485 ბენეფიციარი);
- 10) ონკოლოგიურ პაციენტთა დახმარების პროგრამა 157,5 ათასი ლარი (271 ბენეფიციარი);
- 11) ბიკარბონატული ჰემოდიალიზი-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა 33 ათასი ლარი (28 ბენეფიციარი);
- 12) ელექტრო ენერჯის და გაზის გადასახადის დაფინანსების პროგრამა 39,9 ათასი ლარი (421 ბენეფიციარი);
- 13) მოწყვლადი ჯგუფების გათბობის ხარჯით დახმარების პროგრამა 39,4 ათასი ლარი (785 ბენეფიციარი);
- 14) სოციალურად დაუცველი მოწყვლადი ჯგუფებისთვის საკვების გაცემა დღესასწაულებზე 34,4 ათასი ლარი, დაფინანსდა ხარჯი სხვადასხვა საკვები პროდუქტების შესაძენად, რომელიც გაიცა საშობაოდ 700 ოჯახზე; სააღდგომოდ 800 ოჯახზე; „ნოვრუხ ბაირამის“ დღესასწაულთან დაკავშირებით 100 ოჯახზე;
- 15) მოსახლეობის ტრანსპორტირების პროგრამა 18,5 ათასი ლარი, დაფინანსდა სოფელ უდაბნოდან ქალაქ საგარეჯოში და სოფელ სათაფლედან ქალაქ საგარეჯოში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვირაში ორჯერ უფასო ტრანსპორტირების ხარჯი;
- 16) ხანდაზმულ (95 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა 3 ათასი ლარი (15 ბენეფიციარი);
- 17) უპატრონო და სოც დაუცველი მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა 12,9 ათასი ლარი (42 ბენეფიციარი);
- 18) სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემულ ფართებში მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა 4,8 ათასი ლარი, ორჯერ განხორციელდა იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებლის საკანალიზაციო სისტემის გაწმენდითი სამუშაოები;
- 19) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა 26,9 ათასი ლარი (21 ოჯახი);
- 20) უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება 212,9 ათასი ლარი (220 ბენეფიციარი);
- 21) ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა 3,6 ათასი ლარი, დაფინანსდა მეორე მსოფლიო ომის და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა მემორიალების და დაღუპულ მეომართა საფლავების შესამკობად, ვეტერანთა დღესთან დაკავშირებით გვირგვინების და ყვავილების შეძენის ხარჯი, ფულადი დახმარება მე-2 მსოფლიო ომის 1 ვეტერანზე , 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ მეომართა 2 ოჯახზე, 4 გარდაცვლილი ომის ვეტერანის ოჯახზე დაკრძალვის ხარჯი;
- 22) წითელი ჯვრის დაფინანსების პროგრამა 14,2 ათასი ლარი;
- 23) სტუდენტებისთვის სწავლის საფასურის დაფინანსება 11,4 ათასი ლარი(12 ბენეფიციარი);
- 24) მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა 1,8 ათასი ლარი.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები დაფინანსდა 3313,2 ათასი ლარით.

2022 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა და 6 თვის მაჩვენებლები

მუნიციპალიტეტის 2022 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 56927,5 ათას ლარს.

ბიუჯეტის შემოსავლების სახით 2022 წლის 6 თვის მონაცემებით მობილიზებულია 24397,9 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (39087,8 ათასი ლარი) 68%-ია, მათ შორის: გადასახადების ფაქტიურმა შესრულებამ 6 თვეში შეადგინა 9524.6 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (17799,7 ათასი ლარი) 54%-ია; გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 3781,2 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (11479,1 ათასი ლარი) 33 %-ია, სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 2307,6 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (1709,0 ათასი ლარი) 135%-ია, არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მობილიზებულია 8784,6 ათასი ლარი, რაც გეგმის (8100,0 ათასი ლარი) 108%-ია. 2022 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 17843,2 ათასი ლარი, ხოლო 6 თვეში ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების გამოყენებამ შეადგინა 17839,7 ათასი ლარი.

2022 წელს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე 6 თვის განმავლობაში მიმართულ იქნა 14704,9 ათასი ლარი (წლიური გეგმის 56927,5 ათასი ლარის 26 %). მათ შორის დაფინანსდა: ინფრასტრუქტურის განვითარება 6601,1 ათასი ლარით; დასუფთავება და გარემოს დაცვა 930,0 ათასი ლარით; განათლება 2524,2 ათასი ლარით; კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 1335,8 ათასი ლარით; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 749,3 ათასი ლარით; მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 2 564,5 ათასი ლარით.

2022 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოიყო 317,9 ათასი ლარი წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებების ხარჯებისთვის, 3771,6 ათასი ლარი საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯებისთვის, 511,0 ათასი ლარი სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია-მშენებლობაზე; სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოიყო 668,0 ათასი ლარი; სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით 2297,0 ათასი ლარი; საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის მიზნით 289,0 ათასი ლარი; საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად 2459,8 ათასი ლარი, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან 519,7 ათასი ლარი;

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის დაგეგმილია 17732.1 ათასი ლარი, გრძელდება გზების მიმდინარე, არსებულის სარეაბილიტაციო და ახალი გზების მშენებლობის სამუშაოები;

სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის და ექსპლოატაციის მიზნით გამოყოფილია 4022,4 ათასი ლარი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანადაფინანსების გათვალისწინებით დასრულდა სოფელ გიორგიწმინდაში ჭაბურღილების, შემკრები რეზერვუარების და სატუმბი სადგურის მოწყობის სამუშაოები, გრძელდება საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემის რეაბილიტაცია-მოწყობის სამუშაოები; მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე

სასმელი წყლის ამქაჩი ტუმბოების ან/და მათი კომპლექტის (ახლით) შეძენა-მონტაჟის სამუშაოები;

გარე განათების ხარჯებისთვის, როგორცაა ქსელის ექსპლოატაცია და ახალი წერტილების მოწყობა გამოყოფილია 1919,0 ათასი ლარი;

ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაციისთვის დაგეგმილია 1157,6 ათასი ლარი, მთავრობის მიერ და ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსდა სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების მოწყობის სამუშაოები;

კეთილმოწყობის ღონისძიებებისთვის, როგორცაა საზოგადოებრივი მოწყობა-რეაბილიტაციის და შენობის ფასადების რეაბილიტაციის ხარჯები გამოყოფილია 308,318 ლარი;

სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 584.9 ათასი ლარი, დასრულდა ქ.საგარეჯოში ერეკლე მეორეს ქუჩაზე სანიაღვრე არხებისა და ლითონის ცხაურების მოწყობის სამუშაოები;

სარიტუალო ღონისძიებები 70,0 ათასი ლარი, გათვალისწინებულია სასაფლაოების მოვლა-შენახვისათვის;

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოებისთვის 823,1 ათასი ლარი;

დასუფთავების და ნარჩენების გატანის მომსახურებისთვის გამოყოფილია 1733,5 ათასი ლარი, მათ შორის მიუსაფარი პირების თავშესაფრის ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით მიიღმართა 121,5 ათასი ლარი;

მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარებისათვის გათვალისწინებულია 1399,3 ათასი ლარი, 2021 წელს დაიწყო ქალაქ საგარეჯოს ცენტრალურ ნაწილში ახალი რეკრეაციული და გასართობი არეალის მოწყობის პროექტი და დასრულდება 2022 წელს;

სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირებისთვის 2022 წლის ბიუჯეტით დაგეგმილია 3076,1 ათასი ლარი;

სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობისათვის გათვალისწინებულია 2822,9 ათასი ლარი, მათ შორის 20,0 ათასი გამოყოფილია სოფელ გომბორის, კოჭბანის, მანავის სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელების ტრანსპორტით მომსახურებისათვის, სახელმწიფო დაფინანსებით გახორციელდა სოფ. ყანდაურის საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რევიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანადაფინანსების გათვალისწინებით მიმდინარეობს კაკაბეთის #1 სკოლამდელი დაწესებულების მშენებლობა;

სპორტის სფეროს განვითარებისთვის გამოყოფილია 4423,8 ათასი ლარი;

კულტურის სფეროს განვითარებისთვის 2703,6 ათასი ლარი;

ჯანმრთელობის დაცვის მიზნით გამოყოფილია 535,6 ათასი ლარი;

სოციალური დაცვის მიზნით 1792,1 ათასი ლარი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ 6 თვეში განხორციელდა შემდეგი სოციალური პროგრამები: გაიცა ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახის ერთჯერადი 300 ლარიანი დახმარება (პირველი და მეორე შვილი) 13 ოჯახზე; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

რეგისტრირებული 14 მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირებზე ერთჯერადი 200 ლარიანი დახმარება; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი 400 ლარიანი დახმარება, რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი შვილი და ორი მაინც არის 18 წლამდე ასაკის, 96 ოჯახზე; უდედამამო 18 წლამდე ბავშვთა ყოველთვიური დახმარება 100 ლარის ოდენობით მთელი წლის განმავლობაში 13 ბავშვზე; უპატრონო მიცვალებულების, რომელთაც არ ჰყავთ არც ერთი რიგის მემკვიდრე, ლტოლვილი, არაიდენტიფიცირებული და სოციალურად დაუცველი პირის (სარეიტინგო ქულით 70 000-მდე) დაკრძალვის ხარჯები 300 ლარის ოდენობით 19 ოჯახზე; 95 წელს გადაცილებულ ხანდაზმულ 8 მოქალაქეზე 200 ლარი ერთჯერადად; დიალიზზე მყოფ 32 მოქალაქეზე ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით სამედიცინო მომსახურების მისაღებად ტრანსპორტირების ხარჯი; მოწყვლადი ჯგუფების გათბობის ხარჯით დახმარების პროგრამიდან გაიცა 50 ლარი თითო ოჯახზე(122 ბენეფიციარი); „მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა" -უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღეში ერთჯერადად კვება უფასო სასადილოში პროგრამით სარგებლობს ქალაქის ადმისტრაციულ ერთეულში მცხოვრებში 220 ბენეფიციარი , წლიური ბიუჯეტით განისაზღვრა 289,5 ათასი ლარით;

გაწეულია სტიქიური უბედურების შედეგად დაზარეული სახლის მაცხოვრებელთა კომპენსაციის ხარჯი- 21 ოჯახზე ბინის ქირის გადახდა თვეში 105 ლარის ოდენობით თითოეულ ოჯახზე; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 18 წლამდე ასაკის 82 მოზარდს ეძლევა დახმარება ყოველთვიურად 50 ლარის ოდენობით; გაიცა 6 შ.შ.მ. პირის სარეაბილიტაციო მკურნალობის ხარჯი; შშმ პირთა სარეაბილიტაციო ცენტრის ბენეფიციართათვის განხორციელდა ტელევიზორის შესყიდვა და გადაცემა, აგრეთვე დაფინანსდა ცენტრის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის და ბენეფიციართა ტრანსპორტით მომსახურების ხარჯები;

10 ლარის ოდენობით ყოველთვიურად სოციალურად დაუცველ 442 ოჯახზე გაიცემა ბუნებრივი აირის ღირებულების და ელექტროენერჯის ღირებულების ნაწილობრივი დაფარვის ხარჯი; სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე ოჯახიდან 9 წარჩინებული სტუდენტის სწავლის თანადაფინანსების ხარჯი 1000 ლარის ოდენობით; ფულადი დახმარება გაეწია დიდი სამამულო ომში მონაწილე 1 ვეტერანს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის და დამოუკიდებლობისთვის საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულთა 4 ოჯახს; სტაციონარული, ამბულატორიული მკურნალობა და ოპერაციები დაუფინანსდა 201 მოქალაქეს, 201 ონკოლოგიურ პაციენტს გაეწია დახმარება; მედიკამენტების შეძენა დაუფინანსდა 250 მოქალაქეს; ქალაქ საგარეჯოში მოსახლეობის ტრანსპორტირება მთელი წლის განმავლობაში სოფელი უდაბნოდან და სოფელ სათაფლედან კვირაში ორჯერ;

სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს გადაეცათ სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტები საშობაოდ და სააღდგომოდ 1000 ოჯახს, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის ნოვრუზ ბაირამის დღესასწაულთან დაკავშირებით 200 ოჯახს; 1 მარჩენალდაკარგულ პირზე ყოველთვიურად გაიცემა დახმარება 150 ლარის ოდენობით;

ხანდაზმულთა ცენტრის დაფინანსებაზე გამოყოფილია ბიუჯეტით 15,0 ათასი ლარი.

2022 წლის ბიუჯეტით სარეზერვო ფონდში გათვალისწინებულია 390,0 ათასი ლარი.

თავი III. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

ინფრასტრუქტურის განვითარება

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროექტი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	8603.5	8785.9	10395.5	11423.9
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	3229.2	3505.4	4025.4	4560.0
02 01 01	გზების მიმდინარე შეკეთება	709.1	731.0	745.4	780.0
02 01 01 01	გზების მიმდინარე შეკეთება	300.0	300.0	300.0	300.0
02 01 01 02	შ.პ.ს. საგარეჯო	409.1	431.0	445.4	480.0
02 01 02	ახალი გზების მშენებლობა	2465.1	2674.4	3180.0	3680.0
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	55.0	100.0	100.0	100.0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	4033.3	2857.4	3075.4	3294.0
02 02 01	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	3693.1	2500.0	2700.0	2900.0
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	340.2	357.4	375.4	394.0
02 03	გარე განათება	1335.0	1403.1	1474.7	1549.9
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	1235.0	1298.0	1364.2	1433.8
02 03 02	გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა	100.0	105.1	110.5	116.1
02 04	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია	0.0	0.0	0.0	0.0
02 05	კეთილმოწყობა	6.0	250.0	250.0	250.0
02 05 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	6.0	120.0	120.0	120.0
02 05 02	შენობების ფასადების რეაბილიტაცია	0.0	100.0	100.0	100.0
02 05 03	სადღესასწაულო ღონისძიებები	0.0	30.0	30.0	30.0
02 06	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	0.0	700.0	1500.0	1700.0

02 07	სარიტუალო ღონისძიებები	0.0	70.0	70.0	70.0
02 07 01	სასაფლაოების მოვლა და შემოღობვა	0.0	70.0	70.0	70.0
02 07 02	სარიტუალო დარბაზების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	0.0	0.0	0.0	0.0
02 08	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0.0	0.0	0.0	0.0

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	ინფრასტრუქტურის განვითარება							
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 01							
პროგრამის დასახელება:	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება							
პროგრამის განმახორციელებელი:	ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური							
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2023-2026 წლები							
პროგრამის მიზანი და აღწერა :	პროგრამის მიზანია საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ტრანსპორტის და მოსახლეობის შეუფერხებელი გადაადგილება. პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და საგზაო კომუნიკაციების რეაბილიტაცია-განვითარება და მოვლა-შენახვას; ხიდებისა და სხვა ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაციას;							
ქვეპროგრამის დასახელება	სულ	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი			
გზების მიმდინარე შეკეთება	2,965.5	709.1	731.0	745.4	780.0			
გზების მიმდინარე შეკეთება	1,200.0	300.0	300.0	300.0	300.0			
შ.პ.ს. საგარეჯო	1,765.5	409.1	431.0	445.4	480.0			
ახალი გზების მშენებლობა	11,999.5	2,465.1	2,674.4	3,180.0	3,680.0			
საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	355.0	55.0	100.0	100.0	100.0			
სულ პროგრამა	15,320.0	3,229.2	3,505.4	4,025.4	4,560.0			
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გაუმჯობესებული საგზაო ინფრასტრუქტურა, მეტი რეაბილიტირებული გზა							
პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები								
დასახელება	2022 წელი (საბაზისო)	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	გაზომვის ერთეული	გვერდი გადახრა	რისკი
რეაბილიტირებული გზა	6765	6800	7000	7500	8000	გრძ/მ	-10%	კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა, გარემო პირობების ფაქტორი

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება			
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02010101			
ქვეპროგრამის დასახელება:	გზების მიმდინარე შეკეთება			
არის ქვეპროგრამა ახალი? კი/ არა	არა			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური			
დაფინანსების წყარო	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	300.0	300.0	300.0	300.0
ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა:	მიზანია საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანებული და ავარიული მონაკვეთების შეკეთება. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასფალტირებული და რკინა-ბეტონის საფარის ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები.			

ხარჯთაღრიცხვა ღონისძიებების მიხედვით, ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	ათასი ლარში	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
გზების მოხრეშვა	200,0	X	X	X	X
გზების ორმოული შეკეთება	100,0		X	X	X
სულ	300,0				

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2023 წელი)	ქალაქის ქუჩებისა და გზების ინფრასტრუქტურა შენარჩუნებულია ექსპლუატაციისათვის ვარგის მდგომარეობაში
---	--

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

შედეგის ინდიკატორები						გაზომვის ერთეული	გეგმიური გადახრა	რისკი
დასახელება	2022 წელი -6 თვის (საბაზისო)	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი			
გზების მიმდ. შეკეთებაზე გაწეული ხარჯი	133,0	300,0	300,0	300,0	300,0	ათასი ლარი	-10%	კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა, გარემო პირობების ფაქტორი

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება
---	------------------------------------

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02010102			
ქვეპროგრამის დასახელება:	შ.პ.ს. საგარეჯო			
არის ქვეპროგრამა ახალი? კი/ არა	არა			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	შ.პ.ს. საგარეჯო			
დაფინანსების წყარო	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	409.1	431.0	445.4	480.0
ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა:	მიზანია პროგრამის მიზანია შიდა საუბნო გზების მოწესრიგება და სოფ.კაკაბეთის მოსახლეობის წყალმომარაგება. მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული და თხოვების ფორმით გადაცემული სპეც. ტექნიკის საშუალებით შპს საგარეჯო ახორციელებს შიდა საუბნო გზების მოწესრიგებას და სოფ კაკაბეთის მოსახლეობის წყალმომარაგების უზრუნველყოფას. შ.პ.ს.-ში დასაქმებულია სულ 24 თანამშრომელი, მათ შორის 6 ქალი.			

ხარჯთაღრიცხვა ღონისძიებების მიხედვით, ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	სულ (ათასი ლარი)	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი	IV კვარტალი
ხელფასები	110.9	X	X	X	X
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	104.8	X	X	X	X
ოფისის ხარჯი	2.4	X	X	X	X
ტრანსპორტის, ტექნიკის და იარაღის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები	184.0	X	X	X	X
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	7.0	X	X	X	X
სულ	409.1	X	X	X	X
შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2023 წელი)	მოწესრიგებულია შიდა საუბნო გზები, კაკაბეთის მოსახლეობა უზრუნველყოფილია სასმელი წყლით				

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

შედეგის ინდიკატორები						გაზომვის ერთეული	გეგმიური გადახრა	რისკი
დასახელება	2022 წელი (საბაზისო)	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი			
შესრულებული სამუშაოების რაოდენობა	400	440	480	530	580	ერთეული	- 10 %	გარემო პირობების ფაქტორი, დაზიანებული ტექნიკა
გამრიცხვლიანებული მომხმარებელი	1078	1100	1150	1200	1210	ერთეული	- 10 %	მომხმარებლის ნება
მიწოდებული წყლის მოცულობა	49800	73400	73500	73550	73600	მ3	- 10 %	წყლის დეპეტის ნაკლებობა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება			
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	020102			
ქვეპროგრამის დასახელება:	ახალი გზების მშენებლობა			
არის ქვეპროგრამა ახალი? კი/ არა	არა			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი :	ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური			
დაფინანსების წყარო	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	2465.1	2674.4	3180.0	3680.0
სახელმწიფო ბიუჯეტი	8379.1			
სულ ქვეპროგრამა	10,844.2	2,674.4	3,180.0	3,680.0
ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა:	პროგრამის მიზანია საავტომობილო გზების რეაბილიტაცია, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მოთხოვნებისა და მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით გზების კეთილმოწყობა, საავტომობილო გზების გამტარუნარიანობის გაზრდა, მოძრაობის ორგანიზაციის გაუმჯობესება.			

ხარჯთაღრიცხვა ღონისძიებების მიხედვით, ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	ათას ლარში	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
სოფ. თოხლიაურში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებასთან მისასვლელი გზის მოასფალტება -300 გრძ/მ	267.8		X	X	X
ქ. საგარეჯოში ალაზნის მე-4 ჩიხის მოასფალტება -50 გრძ/მ	57.5		X	X	X
ქ. საგარეჯოში ალაზნის მე-6 ჩიხის მოასფალტება -110 გრძ/მ	56.0		X	X	X
ქ. საგარეჯოში ერეკლე მე-2 ქუჩის მე-7 შესახვევის მოასფალტება -280 გრძ/მ	206.0		X	X	X
ქ. საგარეჯოში მარჯანიშვილის ქუჩის მოასფალტება -240 გრძ/მ	141.4		X	X	X
ქ. საგარეჯოში მარჯანიშვილის ქუჩის 1 ჩიხის მოასფალტება -30 გრძ/მ	28.2		X	X	X
სოფ. პატარა ჩაილურში ცენტრალური გზის მოასფალტება -600 გრძ/მ	288.4		X	X	X
ქ. საგარეჯოში გიორგი ბრწყინვალეს პირველი შესახვევის მოასფალტება - 490 გრძ/მ	453.6		X	X	X
ქ. საგარეჯოში არაყიშვილის პირველი შესახვევის რეაბილიტაცია -340 გრძ/მ	223.9		X	X	X

სოფ. პატარძელში ხიდთან ჩასასვლელი გზის მოასფალტება -110 გრძ/მ	88.1		X	X	X
სოფ. პატარძელში ხიდთან ჩასასვლელი გზაზე ცემენტბეტონის მოწყობა -100 გრძ/მ	54.2		X	X	X
სოფ. პატარძელში საბავშვო ბაღთან მისასვლელი გზის მოასფალტება -100 გრძ/მ	60.1		X	X	X
ქ. საგარეჯოში ერეკლე მე-2 ქუჩის გაგრძელების მოასფალტება -280 გრძ/მ	300.0		X	X	X
სოფ. პატარძელში ხიდის მოწყობა	134.0		X	X	X
2022 წელს განსახორციელებელი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის ხარჯი	106.0	X			
სულ მუნიციპალური ბიუჯეტით	2465.1		X	X	X
სოფ. პატარძელში ე.წ. "უსტიანთ უბნის" მოასფალტება -1800 გრძ/მ	1648.7		X	X	X
სოფ. პატარძელში ე.წ. "ყუშიტანთ უბნის" მოასფალტება -400 გრძ/მ	447.7		X	X	X
ქ. საგარეჯოში იუნკერთა ქუჩის მოასფალტება -1100 გრძ/მ	783.6		X	X	X
სოფ. შიბლიანში ე.წ. "თუთუბიანი"-ს გზის მოასფალტება -960 გრძ/მ	761.5		X	X	X
სოფ. კაკაბეთში სასაფლაოსთან მისასვლელი გზების მოასფალტება - 2000 გრძ/მ	1172.3		X	X	X
ქ. საგარეჯოში ერეკლე მე-2 ქუჩის მე-8 შესახვევის მოასფალტება-290 გრძ/მ	298.0		X	X	X
სოფ. პატარა ჩაილურში ქუჩის მოასფალტება -800 გრძ/მ	650.8		X	X	X
ქ. საგარეჯოში ბესიკის ქუჩის მოასფალტება -1100 გრძ/მ	724.9		X	X	X
სოფ. ყანდაურაში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოასფალტება -460 გრძ/მ	684.8		X	X	X
სოფ. ნინოწმინდაში 21-ე ქუჩის მოასფალტება -660 გრძ/მ	651.0		X	X	X
ქ. საგარეჯოში თამარ მეფის ქუჩის გაგრძელების რეაბილიტაცია -590 გრძ/მ	502.2		X	X	X
სულ სახელმწიფო ბიუჯეტით	8325.5				

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2023 წელი) პროგრამით გათვალისწინებული გზების სრული რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

შედეგის ინდიკატორები						გაზომვის ერთეული	გეგმიური გადახრა	რისკი
დასახელება	2022 წელი (საბაზისო)	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი			

შესრულებული სამუშაოების რაოდენობა	6765	6410	8000	10000	11000	გრძ/მ	-10%	კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები ს შესრულ ებლობა, გარემო პირობები ს ფაქტორი
-----------------------------------	------	------	------	-------	-------	-------	------	--

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება			
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02010103			
ქვეპროგრამის დასახელება:	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება			
არის ქვეპროგრამა ახალი? კი/ არა	არა			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური			
დაფინანსების წყარო	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	55.0	100.0	100.0	100.0
ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა:	მიზანია პროგრამის მიზანია საავტომობილო გზებზე უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა. არსებული საგზაო ნიშნების მოვლა და დაზიანებულის აღდგენა, ახალი საგზაო ნიშნების მოწყობა.			

ხარჯთაღრიცხვა ღონისძიებების მიხედვით, ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა						
დასახელება	ათას ლარში	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი	
ახალი საგზაო ნიშნების მოწყობა.	55.0		X	X	X	
შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2023 წელი)	საავტომობილო გზებზე უსაფრთხოების მოთხოვნები დაცულია					

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები								
შედეგის ინდიკატორები						გაზომვის ერთეული	გეგმიური გადახრა	რისკი
